საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ.თბილისში, სოფ. დიღომში, ნაკვ. №01.72.14.035.834-ში
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

შპს "ბაზიტის"-ს, ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2019 წლის აგვისტოში შემოწმებული იქნა ქ.თბილისში, სოფ. დიღომში, ნაკვ. №01.72.14.035.834-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისში, სოფ. დიღომში, ნაკვ. №01.72.14.035.834-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს "თბილინვესტპროექტი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2019 წლის იანვარში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ი. ცხომელიძე. გრუნტების ლაბორატორიული გამოცდა შესრულებულია შპს "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 8 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები ..... 12 გვ;
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 2 გვ;
5. მიწდნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც;
6. საშთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 3 ფურც;
7. მიწდნის გეოლოგიური ჭრილი..... 2 ფურც;
8. სტატისტიკური დამუშავების შედეგები ..... 3 გვ.

პროექტით, საკვლევ მიწდანზე, უნდა აშენდეს 8 სართულიანი, ზომებით გეგმაში 18.3X18.3მ, სარდაფის გარეშე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა ბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება სამრკლის ტიპსა

და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 45.0 გრძ.მ. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები, მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, 2018 წელს, მეზობელ ნაკვეთზე, ჩატარებული კვლევების მოძიებული მასალების გამოყენებით, მოედანზე, გეოლოგიურ ჭრილში, გამოყოფილი იქნა ოთხი ს.გ.ე.:

1. ფენა 1 – თიხა;
2. ფენა 2, ს.გ.ე. I – ქვიშნარი, მყარი;
3. ფენა 3, ს.გ.ე. II – თიხა მოყვითალო ფერის, ნახევრადმყარი;
4. ფენა 4, ს.გ.ე. III – თიხა მოყვითალო ფერის, შრეებრივი, ჟანგისფერი ლაქებით, ნახევრადმყარი;

ანგარიშში საკმაოდ ვრცლადაა მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მოცემული შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 3.2-4.0 მ სიღრმეზე. წყლის კონტაქტი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებთან მოსალოდნელი არ არის.

დასკვნა

ქ.თბილისში, სოფ. დიღომში, ნაკვ. №01.72.14.035.834-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს

ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ინჟინერ-გეოლოგი, პროფესორი — გ. ჭოხონელიძე

შპს "არქსტუდიო" (ნიაპი) –ს
დირექტორი — ვ. ძაგანია

ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
მისამართი, ტელეფონის №, ფაქსი, პირადობის მოწმობა	ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №10, ბინა №25; ტ: 22-00-44 პირადი №: 01026010539 [illegible] 29.09.2000 წ.
დაბადების თარიღი	ქ. თბილისი, 16.02.1928 წ.
განათლება	1950 წ. დავამთავრე საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელი ინჟინერი (დიპლომი); 1972 წ. დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟ. გეოლოგი (დიპლომი)
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წ. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი); 1975 წ. პროფესორი – საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი)
სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება	1958–1983 წწ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლ. და საინჟინრო გეოლოგიის ინსტ. დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წ. დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნ. შრომა, მათ შორის მონოგრაფია – საქართველოს ლიოსისებური გრუნტები (1976 წ.). შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, რუსთავისა და ფოთის საინჟ. გეოლოგიურ პირობებზე. გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტების საინჟ. გეოლოგიურ პირობებზე.
სამეცნიერო, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	დაწერილი მაქვს ანგარიშები საქ. მინ. აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟ. გეოლოგიის ინსტიტუტში წარმოდგენილ რამდენიმე საგრანტო თემაზე. ისინი ეხება საინჟ. გეოლოგიის სხვადასხვა საკითხს. მასალები ინახება ინსტიტუტის არქივში.
უცხო ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად ინგლისური – ლექსიკონის დახმარებით

/გ. ჭოხონელიძე/

საქართველოს საინჟინრო აკადემია

დიპლომი N250

ეძლევა ბატონ

გუგა ჭოხონელიძეს

მახსენდეს, რომ 2000 წლის 18 თებერვალს იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად(აკადემიკოსად).

პრეზიდენტი ი. ფრანგიშვილი

აკადემიის სწავლული მდივანი ე. გორგიძე

თბილისი, 2000წ.

THE GEORGIAN ENGINEERING ACADEMY

DIPLOMA N250

Is given to Mr.

Guga Chokhonelidze

That in February, 18, 2000 he was elected as a full member(academician) of the Georgian Engineering Academy.

President I. Prangishvili

Academician-secretary E. Gorgidze

Tbilisi, 2000

საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16,02,1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ———

№ დ 0266413

გ. ჭოხონელიძე

პირადი ხელმოწერა

მისამართი ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა